

## აგრობიზნესის მენეჯმენტი

### ტესტები

- სოფლის მეურნეობა არის მატერიალური წარმოების დარგი, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს:
  - მოსახლეობის პირველადი მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
  - მსუბუქი და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოთა მომარაგება ახალი ტექნიკითა და პროგრესული ტექნოლოგიით.
  - სოფლად აგროტურიზმის განვითარება.
  - კვების პროდუქტებზე მოსახლეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა.
- „სოფლის მეურნეობის ეკონომიკის“, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანია:
  - წარმოებრივი ურთიერთობების სპეციფიკა აგრარულ სექტორში.
  - მაკროეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში (ინფლაცია და დასაქმება, ეროვნული პროდუქტი, ექსპორტი-იმპორტი და ა.შ.).
  - ქვეყნის აგრარული მეურნეობა მთლიანობაში და მისი ცალკეული დარგები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ჭრილში (მევენახეობა, მესაქონლეობა და ა.შ.).
  - საზოგადოებრივი ურთიერთობები ერთობლივი შიდა პროდუქტის წარმოების და მოხმარების პროცესში.
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკა მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან შედარებით, ძირითადად განპირობებულია:
  - სოფლის მეურნეობაში გამოყენებული საწარმოო რესურსების თავისებურებებით.
  - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებით.
  - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა გაანგარიშების თავისებურებებით.
  - დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვით.
- საქონლის (მომსახურებაზე) მოთხოვნის მოცულობა არის საქონლის ის რაოდენობა, რომლის შეძენაც სურთ მყიდველებს:
  - დროის გარკვეულ მონაკვეთში;
  - მომავალში მისაღები ხელფასის ანგარიში;
  - დროის გარკვეულ მონაკვეთში;
  - განვადებით.
- მოთხოვნის ელასტიურობა ფასის მიმართ წარმოადგენს
  - საქონელზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილების შეფარდებას ამ საქონელზე ფასის პროცენტულ ცვლილებასთან;
  - საქონლის ფასის პროცენტული ცვლილების შეფარდებას ამ საქონელზე მოთხოვნის პროცენტულ ცვლილებასთან;
  - საქონელზე მოთხოვნის პროცენტული ცვლილების შეფარდებას საქონლის ღირებულებასთან;
  - საქონლის ღირებულების ფარდობა საქონელზე მოთხოვნის პროცენტულ ცვლილებასთან.

6. მიწოდების ელასტიურობა ფასის მიმართ არის:

- ა) ფასის პროცენტული ცვლილების სეფარდება მიწოდების პროცენტულ ცვლილებასთან;
- ბ) მიწოდების პროცენტული ცვლილების შეფარდება ფასის პროცენტულ ცვლილებასთან;
- გ) ბაზარზე მოწოდებული საქონლის ღირებულების ფარდობა ფასის პროცენტულ ცვლილებასთან;
- დ) ფასის პროცენტული ცვლილების ფარდობა მიწოდებული საქონლის ღირებულებასთან.

7. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობა გამოწვეულია:

- ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე არსებული ფასებით.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე გაწეული შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯებით.
- გ) სურსათზე ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნით.
- დ) მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დაბალი დონით.

8. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია:

- ა) ფონდები.
- ბ) კავშირები.
- გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი
- დ) სამშენებლო კოოპერატივი

9. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არის წარმოების ორგანიზაციული ფორმა, რომელიც ორიენტირებულია:

- ა) წარმოების საბოლოო შედეგზე – მოგებაზე.
- ბ) კოოპერატივის წევრების მომსახურების გაუმჯობესებაზე და მათი შემოსავლების ზრდაზე.
- გ) სოფლად საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საქმიანობაზე.
- დ) კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე.

10. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სახეებია:

- ა) მარკეტინგული კოოპერატივი.
- ბ) ბინათმშენებლობის კოოპერატივი.
- გ) საგზაო კოოპერატივი.
- დ) სამომხმარებლო კოოპერატივი.

11. აგროსამეწარმეო ბიზნესის სუბიექტი შეიძლება იყოს:

- ა) იურიდიული პირი.
- ბ) (არარეგისტრირებული) ფიზიკური პირი.
- გ) ფონდი.
- დ) კავშირი.

12. სასურსათო პრობლემა დედამიწაზე განპირობებულია:

- ა) მოსავლიანობის ყოველწლიური კლებით.
- ბ) დამუშავებაში მყოფი მიწების მნიშვნელოვანი გადიდებით.
- გ) მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი ზრდით.
- დ) სასურსათო პროდუქციაზე დანახარჯების პერმანენტული ზრდით.

13. ეროვნული სასურსათო უშიშროების ძირითადი მაჩვენებლებია:

- ა) ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი.
- ბ) მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა.
- გ) სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი.

დ) მოსახლეობის რიცხოვნობა და უმუშევრობის დონე.

14. ბაზარი ეს არის ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება საქონლის გამყიდველებსა და მყიდველებს შორის:

- ა) საქონლის წარმოების პროცესში;
- ბ) საქონლის გაცვლის პროცესში;
- გ) საქონლის განაწილების სფეროში;
- დ) საქონლის მოხმარების პროცესში.

15. ზღვრული პროდუქტი ეს არის:

- ა) პროდუქციის ნამეტი, მიღებული საწარმოო ფაქტორის დამატებითი ერთეულის გამოყენების ხარჯზე;
- ბ) სხვაობა რეალიზებული პროდუქციის ამონაგებსა და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის;
- გ) შეფარდება საწარმოო ფაქტორის ნამეტსა და მისგან მიღებულ ნამეტს შორის;
- დ) შეფარდება ეკონომიკურ მოგებასა და პროდუქციის თვითღირებულებას შორის.

16. ბაზრის ფუნქციებია:

- ა) შემოსავლების სამართლიანი განაწილება საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის.
- ბ) საწარმოო რესურსების რაციონალური გამოყენება.
- გ) ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.
- დ) საქონელზე (მომსახურებაზე) ფასწარმოქმნა და საწარმოთა სანაცია.

17. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასწარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს:

- ა) პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ცოცხალი შრომის დანახარჯები.
- ბ) ბაზარზე პროდუქციის მიწოდების და მოხმარების დონე.
- გ) მოხმარებული საწარმოო ფაქტორების ღირებულება.
- დ) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების თანაფარდობა.

18. საბაზრო კონკურენცია არის:

- ა) ბრძოლა კონკურენტებს შორის პროდუქციის ერთეულზე შრომითი დანახარჯების შემცირებისთვის.
- ბ) კონკურენტების მეტოქეობა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უკეთ დაკმაყოფილებისათვის.
- გ) შეჯიბრი საქონელმწარმოებელთა შორის საქონლის გასაღების ბაზრისათვის და უფრო მაღალი მოგების მისაღებად.
- დ) ზრუნვა მომხმარებელთა უფლებების და ინტერესების დაცვისათვის.

19. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება:

- ა) მის წარმოებაზე გაწეული ფულად-მატერიალური დანახარჯით.
- ბ) პროდუქციის სახმარი ღირებულებით.
- გ) პროდუქციის ხარისხითა და ფასით.
- დ) პროდუქციის გარეგანი მახასიათებლებით (დიზაინი, შეფუთვა და ა.შ.).

20. სოფლის მეურნეობაში საწარმოო ფაქტორების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზანია:

- ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარტივი კვლავწარმოება.
- ბ) პროდუქციის წარმოების გადიდება მიწისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ერთეულზე.

- გ) ძირითადი საწარმოო ფონდების დაჩქარებული ამორტიზაცია.
  - დ) მოგების გადიდება მოხმარებული საწარმოო ფაქტორების ერთეულზე.
21. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწა მიზნობრივად გამოიყენება:
- ა) როგორც წარმოების ძირითადი საშუალება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდებისათვის.
  - ბ) ტყე-პარკებისა და რეკრეაციული ზონების მოწყობისათვის.
  - გ) აგროტურიზმის და საცხენოსნო სპორტის განვითარებისათვის.
  - დ) ხალხური რეწვის სხვადასხვა საგნებისა და ნივთების დამზადებისათვის.

22. მიწის რენტა არის:

- ა) გადასახადი მიწის როგორც საწარმოო რესურსით სარგებლობისთვის;
- ბ) საფასური მიწის ნაკვეთის შექმნისათვის;
- გ) საფასური მიწის გასხვისებისთვის;
- დ) გადასახადი მიწაზე მეურნეობრიობისათვის.

23. მიწის ფასი არის:

- ა) მის შექმნაზე გაწეული შრომითი და მატერიალური დანახარჯი.
- ბ) მასზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფულადი ღირებულება.
- გ) კაპიტალიზებული რენტა
- დ) საარენდო ქირის გადასახადი

24. სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ ძირითად ფონდებს მიეკუთვნება:

- ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.
- ბ) შენობა-ნაგებობები, მანქანა-იარაღები.
- გ) მინერალური სასუქები, საწვავ-საცხები მასალები.
- დ) წვრილი ინვენტარი და ხელსაწყოები.

25. საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მანველებლებია:

- ა) წარმოების რენტაბელობის დონე.
- ბ) ფონდუკუგება, ფონდტევადობა.
- გ) პროდუქციის გამოსავალი მიწის ფართობის ერთეულზე.
- დ) პროდუქციის წარმოება ერთ პირობით სულ პირუტყვზე.

26. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შრომის ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს:

- ა) მეურნეობის სიდიდე (ფართობი ჰა-ში).
- ბ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, ნიადაგის ნაყოფიერება.
- გ) მუშახელის რაოდენობა.
- დ) არცერთი.

27. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის:

- ა) მოსახლეობის ნაწილი შრომისუნარიან ასაკში.
- ბ) მოსახლეობა, რომელიც თვითდასაქმებულია საკუთარ მეურნეობაში.
- გ) დასაქმებული ადამიანებისა და უმუშევრების ერთობლიობა.
- დ) მოსახლეობა, რომელსაც აქვს მუდმივი შემოსავლის წყარო და შემოსავლის არმქონე უმუშევრები.

28. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების პარიტეტი არის:

- ა) საქონელზე არსებული სარეალიზაციო ფასი.

- ბ) საქონლის წარმოებაზე გაწეული ფულად-მატერიალური ხარჯები.
- გ) სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არსებული ფასების შეფარდება ფერმერის მიერ შექმნილ საქონელსა და მომსახურების ფასებთან.
- დ) ფასების თანაფარდობა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციაზე.

29. ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში არის:

- ა) სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ფულადი სახსრების გრძელვადიანი დაბანდება.
- ბ) ბანკის კრედიტი ბინათმშენებლობისათვის.
- გ) პროდუქციის გასაღების ბაზრებისათვის გახარჯული ფულადი სახსრები.
- დ) წვრილი ინვენტარის შესაძენად გაწეული ხარჯები.

30. ინვესტიციების წყაროებია:

- ა) საწარმოს საერთო შემოსავალი.
- ბ) საწარმოს საერთო პროდუქცია.
- გ) ეკონომიკური მოგება.
- დ) ბუღალტრული მოგება.

31. შემოსავლების და დანახარჯების დისკონტირება არის:

- ა) ბანკის კრედიტზე მარტივი პროცენტის დარიცხვა.
- ბ) ფულადი ნაკადების (როგორც დანახარჯის, ასევე შემოსავლების) შესაბამისობაში მოყვანა მიმდინარე (დღევანდელ) ღირებულებასთან.
- გ) კაპიტალურ დაბანდებათა ამოგების ვადის დადგენა.
- დ) ავანსური რენტის გაანგარიშება.

32. დისკონტირებული ღირებულება არის:

- ა) ძირითადი საწარმოო ფონდების საბალანსო ღირებულება.
- ბ) ძირითადი საწარმოო ფონდების ნარჩენი ღირებულება.
- გ) მომავალი შემოსავლების ღირებულება მიმდინარე მომენტისათვის.
- დ) დღევანდელი ცოცხალი ფულის ღირებულება მომავალში.

33. ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა სოფლის მეურნეობაში გლინდება:

- ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადრმავეებაში.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკანონმდებლო ბაზის განვითარებაში.
- გ) სასოფლო-სამეურნეო შრომის ფონდშეიარაღების ზრდაში.
- დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის დონის ზრდასა და მოგების გადიდებაში.

34. სოფლის მეურნეობის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზანია:

- ა) მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობის ამაღლება.
- ბ) მუდმივი და დაქირავებული მუშახელის რაციონალური თანაფარდობის მიღწევა.
- გ) მეურნეობაში დასაქმებული მუშაკებისათვის შრომისა და დასვენების შესაბამისი პირობების შექმნა.
- დ) ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღება.

35. აგრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) სოფლად მეურნეობრიობის ძველად არსებული სამართლებრივ

ორგანიზაციული ფორმის საწარმოთა შენარჩუნება.

- ბ) მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება.
- გ) მრავალწობიანი სხვადასხვა სახის საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის საწარმოთა შექმნა.
- დ) აგრარულ წარმოებაში სახელმწიფოს ჩარევის მაქსიმიზაცია.

36. სოფლის მეურნეობაში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა გამოხატულებას ნახულობს:

- ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯების შემცირებაში.
- ბ) შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში.
- გ) პროდუქციის თვითღირებულების გაზრდაში.
- დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის ზრდაში.

37. შრომის ბაზრის სუბიექტებია:

- ა) საქონლისა და მომსახურების გამყიდველები და მყიდველები.
- ბ) დროებით უმუშევრები.
- გ) მუშა, როგორც სამუშაო ძალის მესაკუთრე და დამქირავებელი, რომელსაც შეუძლია იყიდოს ეს საქონელი.
- დ) მოსახლეობის ნაწილ, რომელიც თვითდასაქმებულია საკუთარ მეურნეობაში.

38. უმუშევრობის ძირითადი სახეებია:

- ა) უმუშევრობა შრომის უნარის დაკარგვის გამო.
- ბ) უმუშევრობა საჭიროების არარსებობის გამო.
- გ) ციკლური უმუშევრობა.
- დ) ფრიქციული უმუშევრობა.

39. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში იწვევს:

- ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულზე ცოცხალი შრომის დანახარჯების გადიდებას.
- ბ) მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების გადიდებას.
- გ) შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და შესაბამის ეკონომიკურ ზრდას.
- დ) ადამიანის როლის შეცვლა წარმოების პროცესში.

40. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები სოფლის მეურნეობაში:

- ა) მიწაზე მეურნეობრიობის არსებულ ორგანიზაციულ ფორმათა სრულყოფა.
- ბ) აგრარულ ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის პირობების შექმნა.
- გ) მაღალპროდუქტიულ მცენარეთა და პირუტყვის ჯიშების და წარმოების პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა.
- დ) სოფლად შრომისა და დასვენების სათანადო პირობების შექმნა.

41. ინოვაცია სოფლის მეურნეობაში არის:

- ა) ინვესტიციების განხორციელების პროცესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.
- ბ) მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში დამატებით ჩართვის პროცესი.
- გ) შემოქმედებითი შრომის შედეგი, რომელიც მიმართულია ახალი ტექნიკის, ჯიშების, ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვაზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით.
- დ) საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ურთიერთ-

შეხამება და დაცვა.

42. ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლა გულისხმობს:

- ა) წარმოებაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას და ფონდტევადობის გადიდებას.
- ბ) ცვლადი საწარმოო ფაქტორების გადიდებას ფართობსა და პირუტყვის სულადობის ერთეულზე.
- გ) წარმოების სტრუქტურულ გარდაქმნას, ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის მიზანმიმართულ გადიდებას.
- დ) პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას ხარისხის ამადლების საფუძველზე.

43. ფიქსირებული კაპიტალი სოფლის მეურნეობაში არის:

- ა) სხვადასხვა გრძელვადიანი აქტივები.
- ბ) წარმოების ფაქტორები, რომლებიც პროდუქციის წარმოებაში გამოიყენება რამდენიმე ციკლის განმავლობაში.
- გ) მანქანა-იარაღები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები.
- დ) საწვავ-საცხები მასალები, მოზარდი პირუტყვი, თესლი, სარგავი მასალა.

44. ალტერნატიული (ეკონომიკური) დანახარჯები წარმოადგენს:

- ა) შრომისა და ფულად-მატერიალურ დანახარჯებს წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.
- ბ) მომავალი პერიოდის პირდაპირ დანახარჯებს.
- გ) დაუმთავრებელი წარმოების დანახარჯებს.
- დ) დანახარჯებს, გამოწვეულს არსებული რესურსებით ალტერნატიული საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე უარის თქმით.

45. ეკონომიკური მოგება არის:

- ა) საწარმოს (მეურნეობის) საბალანსო მოგება.
- ბ) საწარმოს (მეურნეობის) წმინდა მოგება.
- გ) საწარმოს (მეურნეობის) წმინდა პროდუქცია.
- დ) სხვაობა საერთო შემოსავლებსა და საერთო დანახარჯებს (ალტერნატიულის ჩათვლით) შორის.

46. ნორმალური მოგება არის:

- ა) მეურნეობის წმინდა შემოსავალი.
- ბ) ბუღალტრული მოგება.
- გ) ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან.
- დ) წარმოებაში ჩადებული საკუთარი სახსრებიდან მიღებული მოგების ტოლობა ან მეტობა ანაბარზე არსებულ წლიურ საპროცენტო განკვეთთან შედარებით.

47. სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს:

- ა) წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ღირებულება.
- ბ) ალტერნატიული დანახარჯების ღირებულებას.
- გ) პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ჯამს.
- დ) პროდუქციის წარმოებაზე გაწეული შრომითი დანახარჯების ჯამს.

48. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე მოქმედი ფაქტორებია:

- ა) საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე.

- ბ) წარმოების პროცესში ჩართული მუშახელის რაოდენობა.
- გ) სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მიწის სავარგულების დამატებითი ჩართვა.
- დ) წარმოებაში რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და შრომითი დანახარჯების ეკონომია.

49. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებია:

- ა) სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ქიმიზაციის, მელიორაციის და მექანიზაციის დონე.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფონდუზრუნველყოფის და მუშაკთა შრომის ფონდშიყარადება.
- გ) მოგების სიდიდე მიწის ფართობის, შრომისა და საწარმოო ფონდების ერთეულზე.
- დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე.

50. გაფართოებული კვლავწარმოება სოფლის მეურნეობაში ნიშნავს:

- ა) მიწის სავარგულების დამატებით ჩართვას წარმოებაში.
- ბ) დამატებითი მუშახელის ჩართვას წარმოებაში.
- გ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას (შესადარ ფასებში) საბაზისო წელთან შედარებით და დაგროვების ნორმის გადიდებას.
- დ) მუდმივი და ცვლად დანახარჯების გადიდებას წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

51. საწარმოს (მეურნეობის) განკარგულებაში დარჩენილი წმინდა მოგების ხარჯზე შეიძლება შეიქმნას:

- ა) ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ფონდი.
- ბ) თანამშრომელთა ურთიერთდახმარების ფონდი.
- გ) დაგროვების ფონდი.
- დ) სოციალური დაზღვევის ფონდი.

52. ეკონომიკური ზრდის ძირითადი მიზნები სოფლის მეურნეობაში:

- ა) მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფა.
- ბ) ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაცია.
- გ) გაფართოებული კვლავწარმოება და მოგების შემდგომი გადიდება.
- დ) არცერთი არაა სწორი.

53. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია წარმოადგენს:

- ა) საზოგადოებრივი შრომის დანაწილების სპეციფიკურ ფორმას.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის გამოხატულებას.
- გ) სასოფლო-სამეურნეო რისკის თავიდან აცილების საშუალებას.
- დ) წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებას.

54. წარმოების კონცენტრაციის ძირითადი მახასიათებლებია:

- ა) მუშახელის რაოდენობა მეურნეობაში.
- ბ) საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე.
- გ) შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი.
- დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ღირებულებით გამოხატულებაში.

55. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ინტეგრაცია წარმოადგენს:



- ა) საზოგადოებრივ ეკონომიკურ პროცესს, რომელიც წარმოიშობა საწარმოო ძალების განსაზღვრულ სტადიაზე.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ნებაყოფლობით ნიადაგზე მექანიკური გაერთიანების პროცესს.
- გ) დარგთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგს.
- დ) მისწრაფებას, საწარმოთა შორის ორმხრივად მისაღები საწარმო-ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად და ერთიან წარმოქმნაში ჰარმონიული განვითარებისათვის.

56. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ინტეგრაციის ფორმებია:

- ა) სასოფლო-სამეურნეო სამეურნეთაშორისო და სარაიონთაშორისო გაერთიანებები.
- ბ) უცხო სახელმწიფოების მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოები.
- გ) აგროსამრეწველო კომბინატები და აგროსამრეწველო გაერთიანებები.
- დ) კოოპერატორთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

57. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია.
- ბ) წარმოების ქიმიზაცია, მელიორაცია, მექანიზაცია.
- გ) სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.
- დ) სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა „ბიოლოგიზაცია“ და დივერსიფიკაცია.

58. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლებია:

- ა) საწარმოში (მეურნეობაში) არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებების რაოდენობა.
- ბ) პირუტყვისა და ფრინველის სულადობა.
- გ) წარმოებაში დასაქმებული მუშახელის რაოდენობა.
- დ) პროდუქციის გამოსავალი მიწის ფართობისა და პირუტყვის სულადობის ერთეულზე.

59. მარგინალური შემოსავალი წარმოადგენს:

- ა) სხვაობას საწარმოს მთლიან შემოსავლებსა და მთლიან დანახარჯებს შორის.
- ბ) სხვაობას მთლიან შემოსავლებსა და მუდმივ დანახარჯებს შორის.
- გ) შეფარდებას რეალიზებულ პროდუქციასა და ძირითად ფონდებს შორის.
- დ) სხვაობა რეალიზებული პროდუქციის ამონაგებსა და ცვლად დანახარჯებს შორის.

60. მიწათმოქმედებაში გამოყენებული საწარმოო ფაქტორების ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია:

- ა) მუდმივი და დაქირავებული მუშახელის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა.
- ბ) მარგინალურ შემოსავალსა და დანახარჯებს შორის რაოდენობრივი კავშირის დადგენა.
- გ) ზღვრულ დანახარჯებსა და ზღვრულ მოგებას შორის თანაფარდობის დადგენა.
- დ) ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ოპტიმი-

ლური თანაფარდობის დადგენა.

61. მიწათმოქმედების დარგების შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობის მთავარი კრიტერიუმია:

- ა) საერთო პროდუქციის გამოსავალი მიწის სავარგულის ერთეულიდან.
- ბ) მარგინალური შემოსავლის ოდენობა მეურნეობაში არსებულ ყველაზე შეზღუდულ რესურსზე.
- გ) მუდმივი დ ცვლადი დანახარჯების ჯამი წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.
- დ) დარგში დასაქმებული მუშახელის რაოდენობა.

62. მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის (ხილი, ციტრუსი, ყურძენი და ა.შ.) ადგილზე (მეურნეობაში) ხანგრძლივადიანი შენახვის და არასეზონზე რეალიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება:

- ა) აღნიშნული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შეფარდებით წარმოებული პროდუქციის რაოდენობასთან.
- ბ) ხილსაცავების სიმძლავრეებით და ღირებულებით.
- გ) სეზონზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ფასებით.
- დ) შენახული პროდუქციის მოცულობის, შენახვისა და რეალიზაციის პერიოდში წარმოშობილი ფასთა სხვაობის და პროდუქციის შესანახად გაწეული ფულად-მატერიალური დანახარჯებით.

63. მრავალწლიანი ნარგაობის ოპტიმალური ვადის განსაზღვრის ძირითადი მაჩვენებელია:

- ა) მრავალწლიანი ნარგაობის ბიოლოგიური ასაკი.
- ბ) მრავალწლიან კულტურათა მოსავლიანობის დონე.
- გ) წმინდა შემოსავლის ან მარგინალური შემოსავლის საშუალო წლიური მოცულობა ფართობის ერთეულზე.
- დ) ფულად-მატერიალური და შრომითი დანახარჯები ფართობის ერთეულზე.

64. მეცხოველეობაში გამოყენებული საწარმოო რესურსების ოპტიმიზაციას განსაზღვრავს:

- ა) მეცხოველეობის დარგების განვითარების მიმართულებათა სწორი სელექცია.
- ბ) მეურნეობაში არსებული საწარმოო რესურსების რაოდენობა.
- გ) მარგინალური შემოსავლის ოდენობა მეურნეობაში არსებულ ყველაზე შეზღუდულ საწარმოო ფაქტორზე (შრომა, მიწა, შენობა-ნაგებობები).
- დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია.

65. მეურნეობაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის შიდასამეურნეო კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს:

- ა) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების მოცულობა მიწის ფართობისა და პირუტყვის სულადობის ერთეულზე.
- ბ) მეურნეობის საწარმოო მიმართულება.
- გ) მემცენარეობისა და მეცხოველეობის სხვადასხვა დარგებში წარმოებული მარგინალური შემოსავლების ფარდობითი სიდიდეები.
- დ) შეზღუდული საწარმოო ფაქტორების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები.

66. სასოფლო-სამეურნეო მენეჯმენტი არის:

- ა) მართვის თანამედროვე მეთოდების, პრინციპების, საშუალებების და ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობა, მიმართული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ.
- ბ) შეზღუდული საწარმოო ფაქტორების მართვის ერთ-ერთი ფორმა.

- გ) სხვადასხვა ვარიანტული კომბინაციებიდან ყველაზე ეფექტურის არჩევის მექანიზმი.
- დ) არცერთი არაა სწორი.

67. სასოფლო-სამეურნეო მენეჯმენტის ძირითადი პრინციპებია:

- ა) პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.
- ბ) თითოეული მუშაკის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა.
- გ) წარმოების დაგეგმვა და ორგანიზაცია. მუშაკთა მოტივაციისა და დავალებათა შესრულების კონტროლის განხორციელება.
- დ) საწარმოს საქმიანობაზე მოქმედი გარე ფაქტორების ეკონომიკური რეგულირება.

68. სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი წარმოადგენს:

- ა) შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის მიზანმიმართულ საქმიანობას.
- ბ) წარმოების მართვისა და ორგანიზაციის თანამედროვე ფორმას.
- გ) მეწარმეობრივ საქმიანობას, რომელიც მართავს საქონლის მოძრაობას მწარმოებლიდან მომხმარებელამდე მისი წარმოების, გაცვლის და რეალიზაციის საშუალებით.
- დ) საქმიანობას, მიმართულს საწარმოში (მეურნეობაში) საწარმოო სტრუქტურის სწორად განსაზღვრისათვის.

69. სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის ძირითადი ამოცანებია:

- ა) სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სპეციალიზაცია და დივერსიფიკაცია.
- ბ) საწარმოში (მეურნეობაში) გაფართოებული კვლავწარმოების პირობების შექმნა.
- გ) სწორი ინფორმაციის მოპოვება ბაზრის ტევადობისა და სტრუქტურის, მომხმარებელთა გემოვნებისა და სურვილების შესახებ.
- დ) საქონლის ისეთი ასორტიმენტის შექმნა, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებზე.

70. სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს:

- ა) მარკეტინგულ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯებისა და მიღებული შედეგის თანაფარდობა.
- ბ) საქონელზე და მომსახურებაზე ჩამოყალიბებული საბაზრო ფასები.
- გ) სხვაობა, რომელიც წარმოიშობა საქონელმწარმოებლისათვის გადახდილ ფასსა და საბოლოო მომხმარებლის მიერ გადახდილ ფასს შორის.
- დ) საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის ელასტიკურობის დონე.

71. აგროსასურსათო სექტორის განვითარებისთვის სახელმწიფო რეგულირების მიზანია:

- ა) ქვეყანაში ანტიინფლაციური და ანტიმონოპოლური ღონისძიებების გატარება.
- ბ) საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.
- გ) სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა.
- დ) აგროსექტორის ხარჯზე მატერიალური წარმოების სხვა დარგების უპირატესი განვითარება.

72. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ბერკეტები და ინსტრუმენტებია:

- ა) ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება.
- ბ) ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა.

- გ) საქონელზე და მომსახურებაზე ფასწარმოქმნის ადმინისტრაციული სისტემა.
  - დ) წარმოებული პროდუქციის სახელმწიფოზე სავალდებულო მიყიდვა.
73. მსოფლიო ბაზარი წარმოადგენს:
- ა) ერთ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში განთავსებულ საქონლისა და მომსახურების ბაზარს.
  - ბ) რეგიონული ბაზრის ნაირსახეობას.
  - გ) მსოფლიო რესურსების გადანაწილების საშუალებას.
  - დ) მსოფლიოში საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ფორმირების საშუალებას.
74. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმებია:
- ა) გარეთიანებული ერების ორგანიზაცია.
  - ბ) საფინანსო-საკრედიტო კავშირები.
  - გ) სამეცნიერო ტექნიკური კავშირები.
  - დ) საერთაშორისო სპორტული ფედერაციები.
75. საქონლის ღირებულება განისაზღვრება:
- ა) საქონლის წარმოებაზე გახარჯული წარსული შრომის დანახარჯებით.
  - ბ) მოხმარებული საქონლის სასარგებლო ეფექტით (ზღვრული სარგებლიანობის პრინციპით).
  - გ) საქონლის წარმოებაზე გაწეული შრომითი დანახარჯებით.
  - დ) საქონელზე არსებული ფასით.
76. ზღვრული დანახარჯები არის:
- ა) სხვაობა რეალიზებული პროდუქციის ამონაგებსა და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის.
  - ბ) შეფარდება ცვლადი დანახარჯების ნამეტსა და ამ ნამეტის საშუალებით მიღებული პროდუქციის ნამეტს შორის.
  - გ) შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასა და საბრუნავი საშუალებების ღირებულებას შორის.
  - დ) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ერთობლიობა.
77. ცვლადი დანახარჯია:
- ა) პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული შრომითი დანახარჯი.
  - ბ) პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული შრომითი და მატერიალური დანახარჯები.
  - გ) პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ან შემცირებასთან პირდაპირ (უშუალოდ) დაკავშირებული ხარჯები.
  - დ) პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული მუდმივი დანახარჯები.
78. მუდმივი დანახარჯებია:
- ა) მუდმივი და ცვლადი დანახარჯების ჯამი.
  - ბ) დანახარჯები, რომელთა მოცულობა წარმოების გადიდებასთან ან შემცირებასთანაა დაკავშირებული.
  - გ) დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება წარმოების მოცულობას.
  - დ) პროდუქციის ერთეულზე გაწეული საშუალო დანახარჯები.
79. სამეწარმეო ბიზნესის მიზანია:
- ა) პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია მოგების მიღების მიზნით.
  - ბ) პროდუქციის შექმნა შემდგომი რეალიზაციისა და მოგების მიღების მიზნით.
  - გ) მეწარმეობრივი საქმიანობა, რომელიც არაა ორიენტირებული მოგებაზე.

დ) მეწარმეობრივი საქმიანობა, მიმართული სუბსიდიების მიღებაზე.

80. სამეწარმეო ბიზნესის სუბიექტებია:

- ა) სასამართლოს მიერ რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირი.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული არარეგისტრირებული პირი.
- გ) იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია ქონების განკარგვის უფლება.
- დ) კავშირი, ფონდი.

81. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით კერძო საკუთრებაზე ჩამოყალიბებულ მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს ეკუთვნის:

- ა) არამომგებიანი კორპორაციები.
- ბ) ბინათმშენებლობის კოოპერაციული გაერთიანებები.
- გ) ინდივიდუალური საწარმო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.
- დ) გლეხური (ფერმერული) მეურნეობები.

82. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არის

- ა) კოოპერატივში გაერთიანებული წევრების შრომით საქმიანობაზე დაფუძნებულ წევრთა მომსახურების გაუმჯობესებასა და შემოსავლების გადიდებაზე მიმართული (მოგებაზე არაორიენტირებული) საზოგადოება.
- ბ) საჯარო სამსახურის ერთ-ერთი სუბიექტი.
- გ) საზოგადოება, რომელიც იმართება დანიშნული დირექტორის მიერ.
- დ) საზოგადოება, რომელსაც არ აქვს პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელების უფლება.

83. გლეხური (ფერმერული) მეურნეობა არის:

- ა) საოჯახო ტიპის მეურნეობა, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად თვითუზრუნველყოფაზე და ოჯახის წევრების დასაქმებაზე. ეწევა ნაჭარბი პროდუქციის რეალიზაციას.
- ბ) ინდივიდუალური საწარმო, რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე.
- გ) მეურნეობა, რომელიც ეწევა კომერციულ საქმიანობას.
- დ) ნატურალური მეურნეობა, რომელიც მთლიანად თვითუზრუნველყოფაზეა ორიენტირებული.

84. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარა არის:

- ა) მიწის მესაკუთრის მიერ განსაზღვრული დროით მიწის გადაცემა სარგებლობაში მოიჯარისათვის გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ.
- ბ) მიწის დროებითი სერვაცია ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის მიზნით.
- გ) მიწისათვის დადგენილი კატეგორიის შეცვლა (სახნავიდან საძოვარში გადაყვანა ან პირიქით).
- დ) მიწის მესაკუთრის მიერ მიწის განკარგვა (მიყიდვა სხვაზე).

85. მიწის იჯარაში გაცემის დადებითი მხარეებია:

- ა) გარანტირებული შემოსავლის მიღება იჯარის გადასახადის სახით.
- ბ) კაპიტალის გაფართოებული კვლავწარმოება.
- გ) ალტერნატიული ხარჯების რეალიზების შესაძლებლობა.
- დ) გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა.

86. ინვესტიციურ საქმიანობაში ანუიტეტი არის:

- ა) განხორციელებული ინვესტიციების მომსახურების ხარჯები.
- ბ) წმინდა დისკონტირებული ღირებულება.
- გ) განხორციელებული ინვესტიციებიდან ყოველწლიურად თანაბარი ოდენობის შემოსავლის მიღება.
- დ) ინვესტიციების რენტაბელობის შიდა ნორმა.

87. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ლიზინგი წარმოადგენს:

- ა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოკლევადიანი არენდის სახეს.
- ბ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საშუალოვადიანი არენდის სახეს.
- გ) ძირითადი ფონდების კვლავწარმოების ერთ-ერთ საშუალებას.
- დ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გრძელვადიანი არენდის სახეს.

88. აგრარული საწარმოს ძირითადი მიზანია:

- ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდა;
- ბ) წარმოების ძირითადი საშუალებების ეფექტური გამოყენება;
- გ) მოგების მაქსიმიზაცია დანახარჯების მინიმიზაციის პირობებში;
- დ) წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

89. აგრარული საწარმოს ფუნქციონირების საბოლოო შედეგზე არ მოქმედებს:

- ა) ეკონომიკური გარემო;
- ბ) სამართლებრივი გარემო;
- გ) საგადასახადო ტვირთის სიმძიმე;
- დ) სამართლებრივი სტატუსი.

90. მონოფაქტორული საწარმოო ფუნქციის პირობებში აგრარულ საწარმოში წარმოების ფაქტორების გამოყენების ოპტიმუმი მიღწეულია მაშინ, როცა:

- ა) ზღვრული დანახარჯი მეტია ზღვრულ სარგებლიანობაზე;
- ბ) ზღვრული დანახარჯი ნაკლებია ზღვრული პროდუქტის ღირებულებაზე;
- გ) ზღვრული დანახარჯი ტოლია ზღვრულ სარგებლიანობისა;
- დ) ზღვრული დანახარჯი ნაკლებია მუდმივ ხარჯებზე.

91. აგრარული საწარმოს განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

- ა) პიროვნული ფაქტორი;
- ბ) ნივთობრივი ფაქტორი;
- გ) სოციალური ფაქტორები;
- დ) ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორები.

92. მარგინალური შემოსავალი არის:

- ა) პროდუქციის ერთეულზე მიღებული შემოსავალი;
- ბ) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;
- გ) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისა და ცვლადი ხარჯების სხვაობა;
- დ) საწარმოს მთლიანი მოგება

93. აგრარულ საწარმოს ქონების შეფასებითი საქმიანობის სახელმწიფო რეგლამენტირების მიზანია:

- ა) აგრარული საწარმოს საწარმო-ეკონომიკური მიმართულების დადგენა;
- ბ) ბუღალტრული ბალანსების თავისდროული შედგენა;
- გ) საწარმოს ქონების პირველდაწყებითი ღირებულების დადგენა;
- დ) საწარმოს ქონების შეფასებაში სუბიექტივიზმის გამორიცხვა.

94. მიწის ფასის სიდიდე დამოკიდებულია:

- ა) მიწის ნაყოფიერებაზე;
- ბ) ბაზრის მიმართ მიწის ნაკვეთის სიახლოვეზე;
- გ) რენტისა და ბანკის სარგებლის პროცენტის სიდიდეზე;
- დ) მიწის, როგორც წარმოების რესურსის შეზღუდულობაზე.

95. შრომის მწარმოებლურობა არის:

- ა) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება გამოყენებული წარმოების საშუალებების ღირებულებასთან;
- ბ) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება ძირითადი ფონდების ღირებულებასთან;
- გ) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება მისი წარმოებისათვის დახარჯულ დროსთან;
- დ) პროდუქციის წარმოების მოცულობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთეულზე.

96. ამორტიზაციის წლიური ნორმის გასაანგარიშებლად საჭიროა ვიცოდეთ:

- ა) ძირითადი კაპიტალის პირველდაწყებითი ღირებულება;
- ბ) ძირითადი კაპიტალის სალიკვიდაციო ღირებულება;
- გ) ძირითადი კაპიტალის ექსპლუატაციის საშუალო ვადა წლებში;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

97. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე მოქმედი ფაქტორებია:

- ა) ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკა;
- ბ) ეკონომიკური ზრდის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები;
- გ) რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების სახელმწიფო პოლიტიკა;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

98. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუქემდებლური პრინციპებია:

- ა) კოოპერატივის წევრობის ნებაყოფლობითობა;
- ბ) მოგება-ზარალის განაწილება ყველა წევრზე, საწარმოო საქმიანობაში პირადი წილის გათვალისწინებით;
- გ) კოოპერატივის მართვა დემოკრატიული პრინციპებით;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

99. ალტერნატიული მიწათმოქმედების განვითარება ნაკარნახევია:

- ა) მსოფლიო სასურსათო კრიზისით;
- ბ) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვით;
- გ) გარემოს მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობით;
- დ) ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი მიზნებით.

100. ალტერნატიული დანახარჯების გათვალისწინება საშუალებას იძლევა აგრარულ წარმოებაში შერეულ იქნეს:

- ა) შეზღუდული შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების საუკეთესო ვარიანტი;
- ბ) ბუნებრივი რესურსების საუკეთესო ვარიანტი;
- გ) საინვესტიციო პროექტების საუკეთესო ვარიანტი;
- დ) საწარმოს საუკეთესო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

101. აგრარულ წარმოებაში ოპტიმალურად ითვლება ის საწარმოო დარგობრივი სტრუქტურა, რომელსაც სხვა თანაბარ პირობებში აქვს:

- ა) საერთო პროდუქციის წარმოების მაღალი დონე;
- ბ) სასაქონლო პროდუქციის წარმოების მაღალი დონე;
- გ) მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების დაბალი დონე;
- დ) მარგინალური შემოსავლების ყველაზე მაღალი ჯამი.

102. აგრარული წარმოების პრაქტიკაში ბიზნეს-გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება მაშინ, როცა:

- ა) არსებულის აწარმო საჭიროებს პროფილის შეცვლას;
- ბ) ჩნდება ახალი იდეა ახალი ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად;
- გ) საჭიროა აუცილებელი ღონისძიებების გატარება ბანკოროტობისაგან;
- დ) საჭიროა მოქმედი საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა-მოდერნიზაცია.

103. ბიზნეს-გეგმის შემადგენელი ფინანსური გეგმა ყურადსადებია და აქტუალურია:

- ა) საგადასახადო სამსახურებისათვის;
- ბ) ფინანსური პოლიტიკისათვის;
- გ) პოტენციური ინვესტორისათვის;
- დ) თვით საწარმოსათვის (მეწარმისათვის).

104. მეცხოველეობის დარგების არჩევანს და მათი განვითარების ოპტიმალურ სიდიდეს განსაზღვრავს:

- ა) მეცხოველეობის პროდუქციაზე არსებული მოთხოვნა;
- ბ) თითოეული დარგის ეფექტიანობის მიღწეული დონე;
- გ) მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაცია და ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

105. ჯოგის ბრუნვის უწყისის შედგენა იწყება:

- ა) საგეგმო წლის დასაწყისში;
- ბ) საგეგმო წლის ბოლოს;
- გ) ძირითად საშუალებათა ინვენტარიზაციის დროს;
- დ) ყოველი კვარტლის ბოლოს.

106. პირუტყვის საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშების საფუძველია:

- ა) პირუტყვის სახეობა ასაკობრივი სტრუქტურა;
- ბ) პირუტყვის საერთო სულადობაში დედა-პირუტყვის ხვედრითი წონა;
- გ) პირუტყვის საერთო სულადობა;



დ) პირუტყვის საშუალო წლიური სულადობა.

107. ძირითადი ჯოგის პირუტყვის ექსპლუატაციის ოპტიმალური ვადის დასადგენად საჭირო არაა ვიცოდეთ:

- ა) ძროხის საწყისი ფასი ანუ შეძენის ან ადგილზე გამოზრდის ღირებულება;
- ბ) ძროხის სალიკვიდაციო ღირებულება გამოწუნებისას სახორცეთ რეალიზაციის შემთხვევაში;
- გ) ძროხის მერძეული პროდუქტიულობის დინამიკა წლების მიხედვით;
- დ) ძროხის ასაკი.

108. ფიუნქრსული კონტრაქტის პირობებს არ განეკუთვნება:

- ა) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის სახე და ფასი;
- ბ) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის რაოდენობა;
- გ) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის ადგილი და დრო;
- დ) სამომავლოდ მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხი.

109. აგრარული საწარმოს ეკონომიკური ანალიზის ამოცანას არ შეადგენს:

- ა) საწარმო-საფინანსო გეგმის შესრულება საანგარიშო პერიოდში;
- ბ) საწარმოს მუშაობაში დადებითი შედეგების და მათი მიღწევის პირობების გამოვლენა;
- გ) წარმოების ყველა სტადიაზე ხელშემშლელი პირობების გამოვლენა;
- დ) საწარმოს ეკოლოგიური მდგომარეობის შემოწმება და კონტროლი.

110. აგრარული საწარმოს ეკონომიკური ანალიზისათვის არ გამოიყენება:

- ა) შედარების მეთოდი;
- ბ) საბალანსო მეთოდი;
- გ) ჯაჭვური ჩასმის მეთოდი;
- დ) ექსპერიმენტული მეთოდი.

111. აგრარულ საწარმოში ეკონომიკური ანალიზის ობიექტებია::

- ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტრუქტურა და გამოყენების მაჩვენებლები;
- ბ) მეცხოველეობის საწარმოო პროგრამა;
- გ) მიწათმოქმედების საწარმოო პროგრამა;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

112. მოგების მაქსიმიზაცია შესაძლებელია წარმოების ისეთი მოცულობის დროს, როცა

- ა) ნამეტი პროდუქტის ღირებულება ტოლია ნამეტი რესურსის ღირებულების;
- ბ) ნამეტი პროდუქტის ღირებულება მეტია ნამეტი რესურსის ღირებულებაზე;
- გ) ნამეტი პროდუქტის ღირებულება ნაკლებია ნამეტი რესურსის ღირებულებაზე;
- დ) ნამეტი პროდუქტის ღირებულება მაქსიმალურად ჭარბობს ნამეტი რესურსის ღირებულებას.

113. სხვადასხვა საქონლის ფასების შესადარებლად იყენებენ:

- ა) საბაზრო ფასებს;
- ბ) შესადარის ფასებს;
- გ) ფარდობით ფასებს;
- დ) შესყიდვის ფასებს

114. აგრარული საწარმოში განასხვავებენ წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შემდეგ სახეებს:

- ა) ცალკეული დარგების და ქვედარგების ეკონომიკური ეფექტიანობა;
- ბ) ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობა;
- გ) ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობა;
- დ) თვითმმართველობისა და კონტროლის ეკონომიკური ეფექტიანობა.

115. აგრარული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმია:

- ა) აგრარული პროდუქციის წარმოების გადიდება;
- ბ) დანახარჯების მინიმიზაცია;
- გ) მოგების მაქსიმიზაცია;
- დ) გარემოზე ზეწოლის მინიმიზაცია.

116. აგრარულ საწარმოს წმინდა შემოსავალი არის:

- ა) წარმოებული პროდუქციის ღირებულების და მასზე გაწეული დანახარჯების სხვაობა;
- ბ) რეალიზებული პროდუქციის ღირებულების და მასზე გაწეული დანახარჯების სხვაობა;
- გ) სხვაობა წარმოებული პროდუქციის და რეალიზებული პროდუქციის ღირებულებათა შორის;
- დ) სხვაობა რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და ცვლად დანახარჯებს შორის.

117. აგრარული საწარმოს ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალი არის:

- ა) საწარმოსათვის მიყენებული ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ზარალი, რომელიც განპირობებულია გარემოსათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ხარჯებით;

- ბ) საწარმოს მიერ გარემოსათვის მიყენებული ზარალის საკომპენსაციო დანახარჯები;
- გ) წყლისა და ნიადაგის დაბინძურებისათვის გადასახდელი საჯარიმო თანხები;
- დ) ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად გაწეული ხარჯები.

118. გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმებია:

- ა) გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირება;
- ბ) გარემოსდაცვით ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მაქსიმიზაცია;
- გ) ეკონომიკური ეფექტის მაქსიმუმი გარემოსდაცვითი მოთხოვნების პირობებში;
- დ) ეკოლოგიური ზარალის მინიმუმი.

119. აგრარულ საწარმოში გარემოსდაცვითი საქმიანობის დაგეგმვა მოიცავს:

- ა) საწარმოში არსებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივ ხარისხობრივ აღრიცხვას;
- ბ) საწარმოში არსებული ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიური პარამეტრების აღრიცხვას;
- გ) გარემოსდაცვით ღონისძიებების დაგეგმვას;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

120. შემხვედრი ვაჭრობის ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს:

- ა) არასავალუტო საფუძველზე;
- ბ) საქონელგაცვლის ოპერაცია კომერციულ საფუძველზე;
- გ) საკომპენსაციო ოპერაცია ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

#### ლიტერატურა

- 1.პ.კოლუაშვილი,გ.ზიბზიბაძე-სოფლის მეურნეობის ეკონომიკა.თბ.2010.
- 2.პ.კოლუაშვილი,გ.ზიბზიბაძე-აგრარული საწარმოს ეკონომიკა.თბ.2010.
- 3.ა.სიჭინავა, პ.კოლუაშვილი,დ.ეგიაშვილი,ა.მესხიშვილი-უძრავი ქონების ეკონომიკა.თბ.2010.
- 4.აგრობიზნესი-გ.ძაგნიძის რედ.თბ.2009.
- 5.ო.ქემელაშვილი-ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია.თბ.2008.
- 6.ტ.ჰეჯესი-ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია.თბ.1997.